

ციხე-სიმაგრე სკანდე, ტაქტიკა და კომუნიკაცია

გიორგი ბურჯანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო
ფაკულტეტზე არქეოლოგიაში მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ყიფიანი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში „ციხე-სიმაგრე სკანდე, ტაქტიკა და კომუნიკაცია“ განხილული იქნება ქართველური ტომების, ლაზების დაწინაურება პოლიტიკურ ასპარეზზე. მათ მიერ ლაზეთის სამეფოს შექმნა ისტორიული კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე რომაულ ხანაში. მოკლედ შევხები ახლად წარმოქმნილი სამეფოს საზღვრებს, მის პოლიტიკურ კურსს, აქ მცხოვრებ ხალხს. აგრეთვე ციხე-სიმაგრეებს და განვითარებულ ქალაქებს, რომელთა უმეტესობაც სწორედ ლაზების მიერაა აგებული. მოკლე ანალიზს გავაკეთებთ ბიზანტია-სპარსეთის ომზე, რომელიც VI საუკუნეში მიმდინარეობდა ამ ორ უზარმაზარ სახელმწიფოს შორის, ერთის მხრივ იუსტინიანესა და მეორეს მხრივ ხოსროს მეფობის პერიოდში. მოვიხილავთ საომარ ოპერაციებს, თუ რა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა ომის პროცესები და თანდათანობით მივუახლოვდებით სამაგისტრო ნაშრომის მთავარ თემას, სკანდე-შორაპნის ვერტიკალს, ამ ციხეების ფუნქციას და ცალკე განვიხილავთ ციხე-სიმაგრე სკანდეს. მისი წარმოქმნის ისტორიას, მის როლს ლაზეთის სამეფოში. განვიხილავთ აგრეთვე არქეოლოგიურად დაფიქსირებულ ნაგებობათა კვალს, ზედაპირულ ანაკრეფ მასალას, მოვიხილავთ რელიეფს ციხის გარშემო, სტრუქტურულ ანალიზს გავუკეთებთ ურბანულ სისტემას, რომელსაც თავისთავში მოიცავს სკანდეს ციხე და მისი თავდაცვითი ნაგებობები, იქნება ეს სასიმაგრო კედლები, კომპურა-ნაგებობები, საიდუმლო გვირაბი, ხელოვნური თუ ბუნებრივი თავდაცვითი ზღუდეები და ა.შ.

თემის დასასრულს დასკვნის სახით იქნება წარმოდგენილი სამომავლო პერსპექტივები, რომელიც სკანდეს ციხეს აქვს არქეოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით და შემდგომი კვლევა ძიების ჩასატარებლად.

კვლევის პროცესში ძირითადად გამოყენებული იყო საველე დაკვირვებები, შიდა ციხის და მიმდებარე ხეობების დაზვერვითი სამუშაოები. აგრეთვე დიდი ყურადღება იქნა გამახვილებული თეორიული მასალის გააზრებაზე და ანალიზზე. იმდროინდელი ბიზანტიელი და არა მარტო მწერლების გადმოცემებზე, ჩანაწერებზე, აღწერილობაზე და ა.შ.

Abstract

In this master thesis called - "SKANDE citadel, Tactics and Communication" will be reviewed the promotion in the political field of Georgian tribes - Lazi; the formation of Lazeti kingdom on the territory of historical Kolkheti realm in Roman times. I am going to touch upon briefly the matter of borders of the newly created kingdom, its political course, the people living on that land; as well as the castles, citadels, the well developed towns – the great majority of which had been built by the LAZI. I,ll make short analysis of the war between the two great states Byzantium and Persia , in the sixth century, during the period of reigning Justinian and Khosro respectively. Then I,ll discuss that strategic operations which were going with transitional advantages of either side and gradually we,ll get closer to the main subject of this thesis - Skande- Shorapani vertical, the function of this fortress; the main attention will be drawn to Skande citadel itself –the history of its creation, its decisive role in Lazeti kingdom. I,ll also analyse the matter concerning the trace of archaeologically fixed edifices, materials collected on the surface, terrain around the citadel; I,ll make structural analysis of the urbanic system, which is included in Skande fortress and its defencive structures –fortress walls, towers, secret tunnel, artificial, or natural defensive barriers and et. c.

In the end of this work , as some kind of a conclusion, i,ll try to outline the prospects of future exploration and Archaeligical study of Skande citadel.

During the exploration process , field observation and prospecting works of the inner territory of the citadel were applied. Especially great attention was drawn to the realization of the theoretic al material and analysis; also to the annals and ancient notes belonging to the Byzantian writers and not only to Byzantian and et. c.